



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
კახაბერ კირთავა

19 ოქტომბერი 2021 წელი

N 38/36

ეგზ.:N1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული
საბიუჯეტო ორგანიზაციების 2020 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	4
დანართები	მოსაზრება	5
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	6
	2. სხვა გარემოებები	11
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	13
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	16
	კონსოლიდირებული ერთეულები	25
	საკონტაქტო ინფორმაცია	27

ტერმინები და შემოკლებები

მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

უმაღლესი საბჭო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

გზების დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ორგანიზაცია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაცია.

სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო.

სპორტის დეპარტამენტი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტის დეპარტამენტი.

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ და სახელმწიფოს მიერ კანონით დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებებია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღება;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;

გ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების კონტროლი;

დ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა;

ე) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და წყლის რესურსების მართვა და განკარგვა;

ვ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და განვითარება;

ზ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მართვა;

თ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნა, მართვა და მხარდაჭერა;

ი) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენა და მინიჭება;

კ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამსახურის მართვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში, სარგებლობს ფინანსური ავტონომიით.

ცხრილი N1. ინფორმაცია რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

მუხლის დასახელება	გეგმა	ფაქტი	გადახრა	შესრულება (%)
სულ:	304,756,807	291,463,029	13,293,778	95.64
ხარჯები	222,822,704	213,571,683	9,251,021	95.85
შრომის ანაზღაურება	38,250,255	37,007,477	1,242,778	96.75
საქონელი და მომსახურება	62,306,046	57,748,142	4,557,904	92.68
პროცენტი	1,072,029	715,359	356,670	66.73
სუბსიდიები	7,857,849	7,088,916	768,933	90.21
გრანტები	55,902,783	55,770,080	132,703	99.76
სოციალური უზრუნველყოფა	17,992,018	17,823,724	168,294	99.06
სხვა ხარჯები	39,441,724	37,417,985	2,023,739	94.87
არაფინანსური აქტივების ზრდა	79,303,060	75,385,496	3,917,564	95.06
ვალდებულებების კლება	2,631,043	2,505,849	125,194	95.24

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების¹ (ერთად – ჯგუფი) ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს² მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – აზვაცში აღწერილი საკითხ(ებ)ის გავლენით განპირობებული შედეგების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების³ შესაბამისად.

¹ იხ. დანართი: კონსოლიდირებული ერთეულები.

² „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით განსაზღვრული დანართები.

³ „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 არაფინანსური აქტივები

1.1.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული არაფინანსური აქტივები

შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზების გამო, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 1,836 ერთეული სასოფლო-სამეურნეო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები. შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული ორგანიზაციების 2020 წლის ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების ნაშთი არანაკლებ 760,666,952 ლარით⁴ უზუსტოდ, შემცირებულად არის წარმოდგენილი.

მოქმედი რეგულაციებით,⁵ სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობს, მართავს და განკარგავს ქონებას, აგრეთვე ახორციელებს ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს კანონმდებლობის, ამ კანონის და მის საფუძველზე მიღებული (გამოცემული) სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

სამინისტროს ბალანსზე უნდა ირიცხებოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება, მათ შორის, არაფინანსური აქტივები, რომლის პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა. მოქმედი რეგულაციებით, ქონების ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხვა ხორციელდებოდა მხოლოდ პირველადი გადაცემის შემდეგ, ქონების მიმღების მიერ,⁶ ხოლო აღრიცხვაში ასახვის დრო დგება მაშინ, როდესაც ხდება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან დათმობა.⁷

სამინისტროს უფლებამოსილი პირის განმარტებით, აუდიტის სამსახურის მიერ წინა საანგარიშგებო პერიოდის (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, სამინისტროს მიერ დაწყებულია არაფინანსური აქტივების ბალანსზე აღრიცხვის პროცედურები. კერძოდ, აუდიტის მიმდინარეობისას სულ 1,836 ერთეული ქონებიდან განხორციელებულია 1,037 დასახელების აქტივების შეფასება და აღრიცხვა,⁸ მათ შორის, ბათუმის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აღურიცხავი 316 დასახელების აქტივებიდან აღურიცხულ იქნა 299 ერთეული, ხოლო აღურიცხავი რჩება 17 დასახელების, ნორმატიული ფასით – 15,456,125 ლარის ღირებულების აქტივები, თუმცა მნიშვნელოვანია, აღნიშნული პროცესი

⁴ აქტივების ღირებულება მოიცავს მხოლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდებარე 316 ერთეულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, იმ პერიოდისათვის მოქმედი ნორმატიული ფასის გათვალისწინებით.

⁵ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

⁶ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრიროს ქონების სარგებლობაში მიმღებმა.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁸ ახალი შეფასებით - 1,037 დასახელების აქტივები შეფასებული და ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში 1,096,303,310 ლარით.

გაგრძელდეს და სამინისტროს საკუთრებაში არსებული ქონებები სრულად შეფასდეს და აისახოს საბალანსო მონაცემებში.

1.1.2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული აქტივების საბიუჯეტო ორგანიზაციებზე გადაცემა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივები არანაკლებ 447,926 ლარით უზუსტოდ, შემცირებულად არის წარმოდგენილი, რაც ძირითადად განპირობებულია შესაბამის სამინისტროებში შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზებით, კერძოდ:

- ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრზე უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, სარგებლობაში გადაცემულია⁹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული 6 დასახელების სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ერთი დასახელების, 102,420 ლარის ღირებულების 1,115 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი¹⁰ აგროსერვის ცენტრის ფინანსურ ანგარიშგებაში და სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.
- ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტზე, უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, სარგებლობაში გადაცემულია¹¹ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 13 დასახელების, არანაკლებ 345,506 ლარის¹² ღირებულების აქტივები, გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებასა და ჯგუფის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

1.1.3 არაწარმოებული აქტივები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული რესურსების ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე აღურიცხველობის გამო, 2020 წლის ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, არაწარმოებული აქტივების ნაშთი არსებითად უზუსტოდაა წარმოდგენილი.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 აპრილის N98 დადგენილების საფუძველზე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია, საშენი მასალებისა და მიწისქვეშა წყლების მოსაპოვებლად. მოქმედი რეგულაციიდან¹³ გამომდინარე, ყველა რესურსი,

⁹ წერილი N01-10/4304, 24.09.2014.

¹⁰ ს/კ 05.33.21.060.

¹¹ წერილი N01-10/3313, 26.08.2020; წერილი N01-10/4792, 22.12.2020; მიღება-ჩაბარების აქტი - 27.11.2017; მიღება-ჩაბარების აქტი - 03.06.2019.

¹² დეპარტამენტის ინვენტარიზაციის მასალებით, მიღებული აქტივებიდან ლითონის საწვავის ავზის, ვაგონის ჩარჩოების, მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.35.28.173) საბალანსო ღირებულებები ჯერ არ არის შეფასებული.

¹³ იმ პერიოდში მოქმედი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

რომელსაც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აკონტროლებს წარსულში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შედეგად და საიდანაც მოელის ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას, აქტივებია და ექვემდებარება აქტივად აღიარებას. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს მიერ გაცემულია ჯამში 258,256,421 კუბ.მ წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია,¹⁴ თუმცა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული რესურსები არაწარმოებულ აქტივებად არ არის აღიარებული.¹⁵

1.2 ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

1.2.1 სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების სრულყოფილად აღურიცხველობის გამო, 2020 წლის ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, სხვა გრძელვადიანი მოთხოვნების ნაშთი 165,020 ლარით უზუსტოდაა წარმოდგენილი. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, წინა პერიოდში, სპეცსახსრების ანგარიშიდან, ჩაის მოსავლის რეალიზაციის ღონისძიებისათვის მიმწოდებლებზე ავანსად გადახდილი 165,020 ლარი¹⁶ ერიცხება დებიტორულ დავალიანებად, თუმცა რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული დავალიანება არ არის ასახული.

1.3 ვალდებულებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქონლისა და მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების ნაშთი შეადგენს 873,555 ლარს, საიდანაც 13,007 ლარის ღირებულების ვალდებულებების ნაშთი უსაფუძვლოა, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტებით დაუზუსტებელია დავალიანების წარმოშობა. აუდიტის ობიექტს¹⁷ არ განუხორციელებია აქტივობა დავალიანების რეალობის დასადგენად, ამასთანავე, აუდიტორების მოთხოვნის მიუხედავად, ვერ იქნა მოწოდებული მევალე პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები,¹⁸ რის გამოც ვალდებულებების დასადასტურებლად აუდიტის პერიოდშიც ვერ გაიგზავნა გარე დასტურის წერილი და, შესაბამისად, ვერ ჩატარდა სათანადო აუდიტორული პროცედურები.

¹⁴ მიწისქვეშა მტკნარი წყლები, გაბრო-დიორიტი, მინერალური წყაროს წყალი, ანდეზიტო-ბაზალტი და ინერტული მასალები.

¹⁵ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ლიცენზიის გაცემიდან მიღებულმა შემოსავლებმა ჯამში შეადგინა 6,998,117 ლარი.

¹⁶ შპს „ატანი“ - 151,200 ლარი, შპს „ემირი“ - 6,910 ლარი, შპს „ჩაი ექსპორტი“ - 6,910 ლარი, წარმოშობის თარიღი: 22.03.2004. დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამართლებრივი საქმისწარმოება.

¹⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

¹⁸ პირის ვინაობა, საიდენტიფიკაციო კოდი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი.

1.4 ინვენტარიზაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და პასუხისმგებელი პირების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო, დარღვეულია ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი.¹⁹ რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციაში მოქმედი რეგულაციების დაცვით არ ტარდება მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია. კერძოდ, 331,615,676 ლარის ღირებულების აქტივებსა და ვალდებულებებზე ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული.²⁰ ამასთანავე, გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც 50,527,574 ლარის ღირებულების ქონებას საინვენტარო ნომრები არ აქვს მინიჭებული ან/და აქტივებზე არ არის მითითებული ქონების ბრენდი და მოდელი,²¹ რის გამოც ვერ ხერხდება საინვენტარიზაციო ქონების იდენტიფიცირება. ამდენად, მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმების გამოუყენებლობა წარმოშობს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების ფაქტობრივად არარსებობის რისკებს.

ცხრილი N2. ინფორმაცია ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ

N	აუდიტის ობიექტი	ექვემდებარებოდა ინვენტარიზაციას	არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია	არ არის მინიჭებული საინვენტარო ნომერი
1	ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებები ²²	1 689 350 563	249 054 297	37 697 880
2	განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებით	134 872 680	71 644 144	3 484 584
3	სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქვეუწყებო დაწესებულებებით	36 331 320	217 725	7 735 888
4	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	15 278 082	10 635 460	1 292 156
5	მთავრობა	7 484 145	52 530	4964
6	უმაღლესი საბჭო	7 413 476	11 520	312 102
	ჯამი:	1 890 730 266	331 615 676	50 527 574

1.5 საცნობარო მუხლები

1.5.1 ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა კონტროლის სისტემის სისუსტის და სპორტის დეპარტამენტის ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზების გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, საცნობარო მუხლში,

¹⁹ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-11 მუხლის პუნქტი 1.

²⁰ ექვემდებარებოდა ინვენტარიზაციას 1,890,730,266 ლარის აქტივები და ვალდებულებები, ჩატარდა 1,559,114,590 ლარის ღირებულების აქტივებზე.

²¹ სკამები, მაგიდები, ელექტროლუმები, კომპიუტერული ტექნიკა, კონდინციონერები, ბიბლიოთეკის ფონდი, ჟალუზები, საცეკვაო კოსტიუმები, მობილური ტელეფონები, ფეხსაცმელები, ქურთუკები და სხვ.

²² სსიპ - ბათუმის ბულვარი; სსიპ - აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა; ა(ა)იპ - ბათუმის „ბიზნესინკუბატორი“; აჭარის ა/რ საავტომობილო გზების დეპარტამენტი; სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია.

ხარჯებში ჩამოწერილი მარაგების ნაშთი 98,563 ლარით უზუსტოდ, გაზრდილად არის წარმოდგენილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხარჯებში ჩამოწერილი 1,155,521 ლარის ღირებულების აქტივები ირიცხება მარაგების ნაშთში, საიდანაც 98,563 ლარის ღირებულების აქტივები ეკუთვნის სპორტის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ დეპარტამენტს აღნიშნული აქტივები ფიზიკურად არ გააჩნია, რადგან დაშვებული უზუსტობის გამო, საბალანსო ნაშთად კვლავ ირიცხება წინა პერიოდში სპორტულ ფედერაციებზე გადაცემული სპორტული ინვენტარი და ფორმები.²³ ამასთანავე, შეცდომითაა ნაშთად ასახული დეპარტამენტის მიერ წინა პერიოდში გახარჯული საკანცელარიო-სამეურნეო საქონელი და საწვავ-საპოხი მასალები, რომლებიც შესაბამის პერიოდში არ იქნა აღიარებული ხარჯებად და კვლავ ერიცხება ნაშთად.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

²³ აჭარის მაღალსივრცის ფედერაციას - 2 ცალი მაღალსივრცის ღერძი, ღირებულებით - 22,000 ლარი (14.12.2018); ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირს - სპორტული ტანსაცმელი 27 კომპლექტი, ღირებულებით - 13,500 ლარი (29.08.2018); საწვავ-საპოხი მასალები - 38,110 ლარის; საკანცელარიო საქონელი - 4,445 ლარის და სხვ.

2. სხვა გარემოებები

2.1 ტრანსპორტის ხარჯები

2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების საკუთრებაში არსებულ 208 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გაწეულია 1,185,349 ლარის ხარჯი,²⁴ მათ შორის, აუდიტორული შერჩევის საფუძველზე შესწავლილი 129 ერთეულის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვისათვის გაწეული ხარჯი შეადგენს 809,707 ლარს, საიდანაც საწვავის ხარჯი 424,902 ლარია.

მოქმედი რეგულაციებით,²⁵ სამსახურებრივ მივლინებად ითვლება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით მოსამსახურის გამგზავრება, თუმცა ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევაში შესაძლებელია სამსახურებრივი ავტომობილები არასამსახურებრივი მიზნებისათვის იქნა გამოყენებული და საწვავი არამიზნობრივად დაიხარჯა (იხ. დანართი N2), კერძოდ:

- 11 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 63 შემთხვევაში, ცალკეული უწყების შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი არ იმყოფებოდა მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და ჩასხმულია ჯამში 2,864 ლიტრი, 6,465 ლარის ღირებულების საწვავი.²⁶ აღნიშნულ შემთხვევებზე, შესაბამისი უწყებების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტური დადასტურება, ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

- გზების დეპარტამენტის მიერ პლასტიკური ბარათებით (VIP ბარათები)²⁷ ჯამში გახარჯულია 1,168 ლიტრი 2,656 ლარის ღირებულების საწვავი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 1,314 ლარის ღირებულების (535 ლიტრი) საწვავის ხარჯვაზე არ არის წარმოდგენილი სამსახურებრივი საჭიროებისათვის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის, ორ შემთხვევაში ბარათით საწვავის ჩასხმა დასტურდება ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.²⁸

აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს და წარმოშობს არასამსახურებრივი დანიშნულებით საწვავის გამოყენების რისკებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ანგარიშში იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება და მხარჯავ დაწესებულებებში ისეთი კონტროლის მექანიზმ(ებ)ის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად, ეკონომიურად და მიზნობრივად ხარჯვას.

²⁴ საწვავი 365,568 ლიტრი - 658,565 ლარი, სხვა ხარჯი (შეკეთება, დაზღვევა, რეცხვა და სხვა) - 526,784 ლარი.

²⁵ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებით დამტკიცებული „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესი“.

²⁶ საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2020 წლის 26 ივნისის ბრძანება N38 - დეპარტამენტის თანამშრომელის მივლინების შესახებ.

²⁷ VIP ბარათებით საწვავის ხარჯვა განკუთვნილია შიდა გზების მოვლა-შენახვის სამუშაოებისათვის მცირე მექანიზმების გამოყენებისათვის.

²⁸ ქვიტირის ავტოგასამართი სადგური.

2.2 სარეზერვო ფონდი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან 591 შემთხვევაში დაკმაყოფილებულია მოქალაქეთა თხოვნა და გახარჯულია 1,922,369 ლარი, მათ შორის: ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარებისათვის გახარჯულია 998,360 ლარი, ფიზიკური პირების (მოქალაქეების) მკურნალობისათვის გახარჯულია 733,671 ლარი, სამკურნალო მედიკამენტების შეძენისათვის 140,734 ლარი, ხოლო სხვადასხვა სარეზერვო სახეობის და სამედიცინო ინვენტარის²⁹ შესაძენად 49,604 ლარი. ამავდროულად არ არის დაკმაყოფილებული 321 განცხადება.

აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში, ფიზიკური პირების მიერ მკურნალობასთან და მატერიალურ დახმარებებთან დაკავშირებით წარდგენილი განცხადებები განხილულია ერთმანეთისაგან გასხვავებული მიდგომით,³⁰ კერძოდ:

- ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი გადასახდელი თანხის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებაზე მოქალაქეებს³¹ უარი ეთქვათ იმ მოტივით, რომ მოქმედი პროგრამა არ ითვალისწინებს ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, თუმცა სხვა ანალოგიურ შემთხვევაში³² დაფინანსებულია ჩატარებული ოპერაციების ღირებულება.

- საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებასთან დაკავშირებით მოქალაქეებს³³ უარი ეთქვათ იმ მოტივით, რომ უნდა მიმართონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მიღებული დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების წარმოდგენის შემდეგ შეუძლიათ მიიღონ დახმარება, თუმცა სხვა შემთხვევებში აღნიშნული მოთხოვნის გარეშე დაფინანსებულია მკურნალობის ხარჯები.³⁴ ასევე, რიგ შემთხვევებში სოციალურად დაუცველ ოჯახებზე განსხვავებული მიდგომით გაცემულია ერთჯერადი მატერიალური დახმარება.³⁵

²⁹ სმენის აპარატები, ჟანგბადის კონცენტრატორი, სავარძელი, კოხრეალური ინჰლანტი.

³⁰ მკურნალობისათვის დაფინანსებული და სულ დაუფინანსებელი, ჯამში: 550 შემთხვევიდან, შერჩეული და შესწავლილია 283 პირის განცხადება, გამოვლინდა შეუსაბამო 12 შემთხვევაში.

³¹ განცხადება N09-02-12-დ/3, 06/01/2020.

³² განცხადებები: N438/05, 08.01.2020; N404/05, 08.01.2020; N1011/05, 13.01.2020; N1415/05, 16.01.2020.

³³ განცხადება N153/01, 20.01.2020 - მოთხოვნილია 1,500 აშშ დოლარი; განცხადება N155/01, 20.01.2020 - მოთხოვნილია - 8,800 ევრო.

³⁴ განცხადება N1008/05, 13.01.2020 - დახმარების სახით დაფინანსებულია 20,000 ლარი.

³⁵ განცხადება N1-10874/20, 04.08.2020 - სარეიტინგო ქულა - 116 600, დაფინანსებულია - 2,500 ლარი. განცხადება N735/01, 25.02.2020 - სარეიტინგო ქულა - 58 760, უარი ეთქვა დაფინანსებაზე. განცხადება N308/01, 30.01.2020 - უარი ეთქვა 2,550 ლარის ფინანსურ დახმარებაზე, ხოლო განცხადება N1068/05, 13.01.2020 - დაფინანსებულია 20,000 ლარით.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

– ვახორციელებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ

რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს.

რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

– ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

– ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

– ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის, თუმცა მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

– ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

